დანართი N1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

2010 წლის 19 მაისის 2010/30/EU დირექტივა „ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარებისა და პროდუქტის შესახებ სტანდარტული ინფორმაციის მითითების თაობაზე“ *ინკოპორირებული და ადაპტირებულია 2010 წლის 24 სექტემბრის მინისტერიალის საბჭოს 2010/02MC-EnC გადაწყვეტილებით 2009 წლის 18 დეკემბრის დამმატებელი 2009/05/MC-EnC გადაწყვეტილებით ენერგო ეფექტურობის გარკვეული დირექტივების იმპლემენტაციის თაობაზე*		საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები, არსებობის შემთხვევაში: N1. „ენერგო ეტიკეტირების“ შესახებ საქართველოს კანონის პროექტი შესაბამისობა: სშ - სრულად შესაბამისი ნშ - ნაწილობრივ შესაბამისი შ - შეუსაბამო ას - არასავალდებულო				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი		შენიშვნები
1	1. ეს დირექტივა აყალიბებს ჩარჩოს ეროვნული ღონისძიებების ჰარმონიზაციისთვის, რომელიც დაკავშირებულია საბოლოო მომხმარებლის შესახებ ინფორმაციასთან, კერძოდ, ეტიკეტირებისა და პროდუქტის შესახებ სტანდარტული ინფორმაციის მეშვეობით ენერგიის მოხმარებასთან და, შესაბამის შემთხვევაში, მოხმარებისათვის გამოყენებულ	N1	1.1	1.ამ კანონის მიზანია საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარების და ასევე, ასეთი პროდუქტის ენერგომოხმარების მაჩვენებლების	სშ	

	სხვა არსებით ინფორმაციასთან და ენერგომოხმარების პროდუქტებთან დაკავშირებულ დამატებით ინფორმაციასთან, რაც საბოლოო მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეარჩიოს უფრო ეფექტიანი პროდუქცია			შესახებ პროდუქტზე სტანდარტული ინფორმაციის მითითების უზრუნველყოფა, აგრეთვე, საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის ამ კანონითა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.		
1	2. ეს დირექტივა ეხება ენერგომოხმარების პროდუქტებს, რომელთაც, მათი გამოყენების დროს, მნიშვნელოვანი პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა აქვთ ენერგიისა და სხვა მნიშვნელოვანი რესურსების მოხმარებაზე.	N1	2.1	1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთავრობის ტექნიკური რეგლამენტებით (შემდგომში ტექნიკური რეგლამენტები) განსაზღვრულ ენერგომომხმარებელ პროდუქტებზე, რომლებიც მოხმარებისას პირდაპირ ან არაპირდაპირ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ენერგიის ან ამ კანონით განსაზღვრული სხვა არსებითი რესურსების მოხმარებაზე;	სშ	
	3. ეს დირექტივა არ ვრცელდება: (ა) მეორად პროდუქტებზე;	N1	2.2	2.ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება: ა)მეორად პროდუქტზე;		

	(ბ) სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება ადამიანების ან პროდუქტების ტრანსპორტირება/გადაადგილებისათვის; (გ)პროდუქტის საპასპორტო მონაცემებზე ან სხვა ექვივალენტურ ინფორმაციაზე, რომელიც პროდუქტის უსაფრთხოების მიზნით დაიტანება პროდუქტზე.			ბ)სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება გადაყვანა/გადაზიდვისთვის; გ)პროდუქტის საპასპორტო მონაცემებზე ან სხვა ეკვივალენტურ ინფორმაციაზე, რომლებიც პროდუქტის უსაფრთხოების მიზნით დაიტანება პროდუქტზე.		
2	ამ დირექტივის მიზნებისთვის: (ა)„ენერგომომხმარებელი პროდუქტი“ ან „პროდუქტი“ - ნებისმიერი საქონელი, რომელიც გამოყენებისას მოიხმარს ენერგიას, განთავსებულია ბაზარზე და/ან ჩაშვებულია ექსპლუატაციაში ენერგოგაერთიანების ქვეყნებში; ასევე ენერგომამხმარებელი პროდუქტის ის ნაწილები, მათ შორის ნაწილები, რომელიც განკუთვნილია ამ დირექტივიტ განსაზღვრული ენერგომომხმარებელ პროდუქტებში ინკორპორირებისათვის რომლებიც ინდივიდუალურად განთავსებულია ბაზარზე ან/და გაშვებულია ექსპლუატაციაში საბოლოო მომხმარებლისთვის და რომელთა ეკოლოგიური მაჩვენებლები შესაძლებელია შეფასდეს დამოუკიდებლად;	N1	3.1	1.ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ა) **ენერგომომხმარებელი პროდუქტი** (შემდგომში პროდუქტი)- ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული ნებისმიერი პროდუქტი, რომელიც გამოყენებისას მოიხმარს ენერგიას და რომელიც განთავსებულია საქართველოს ბაზარზე ან გაშვებულია ექსპლუატაციაში საქართველოს ტერიტორიაზე; ასევე ენერგომომხარებელი პროდუქტის ის ნაწილები, რომლებიც ინდივიდუალურად განთავსებულია ბაზარზე ან/და გაშვებულია ექსპლუატაციაში საბოლოო მომხმარებლებისთვის და რომელთა ეკოლოგიური მაჩვენებლები შესაძლებელია შეფასდეს დამოუკიდებლად;	სშ	დირექტივით გათვალსიწინებული ტერმინები სრულად არის ასახული კანონპროეტში. თუმცა, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, კანონპროექტში დამატებულია ტერმინთა განმარტებები.

	(ბ) „ფიშე“ - პროდუქტთან დაკავშირებულ სტანდარტული ინფორმაციის მომცველი ცხრილი; (გ) „სხვა არსებითი რესურსები“ - წყალი, ქიმიკატები და სხვა ნივთიერებები, რომელსაც პროდუქტი ნორმალური გამოყენებისას მოიხმარს; (დ) „დამატებითი ინფორმაცია“ - ინფორმაცია პროდუქტის ექსპლუატაციისა და მახასიათებლების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ან სასარგებლოა პროდუქტის მიერ ენერგიის ან სხვა არსებითი რესურსების გამოყენების შესაფასებლად და რომლებიც ეფუძნება გაზომვად მონაცემებს;			ბ) **ფიშე** - პროდუქტის შესახებ სტანდარტული ინფორმაციის ცხრილი, რომელშიც, მათ შორის, ასახული უნდა იყოს: მიმწოდებლის სახელწოდება ან სასაქონლო ნიშანი; მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი (კოდი), რომელიც ჩვეულებრივ ანბანურ-ციფრულია და რომლითაც ხდება ერთი და იმავე სასაქონლო ნიშნისა თუ მიმწოდებლის სახელწოდების მქონე მოდელებისგან კონკრეტული მოდელის გამორჩევა;ენერგოეფექტურობის კლასი ; გ) **სხვა არსებითი რესურსები** - წყალი, ქიმიკატები და სხვა ნივთიერებები, რომლებსაც პროდუქტი ჩვეულებრივი გამოყენებისას მოიხმარს; დ) **დამატებითი ინფორმაცია** - ინფორმაცია პროდუქტის ექსპლუატაციისა და მახასიათებლების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ან სასარგებლოა პროდუქტის მიერ ენერგიის ან სხვა არსებითი რესურსების გამოყენების შესაფასებლად და რომლებიც ეფუძნება გაზომვად მონაცემებს; **ე) ეტიკეტი** - გრაფიკული დიაგრამა, დაბეჭდილი ან ელექტრონული ფორმით, რომელსაც გააჩნია დახურული შკალა ლათინური ასოების „A”-დან „G”-ის ჩათვლით,		

	(ე) „პირდაპირი ზეგავლენა“ - იმ პროდუქტების ზეგავლენა, რომლებიც გამოყენებისას რეალურად მოიხმარენ ენერგიას; (ვ) „არაპირდაპირი ზეგავლენა“ - იმ პროდუქტების ზეგავლენა, რომლებიც გამოყენებისას არ მოიხმარენ ენერგიას, მაგრამ წვლილი შეაქვთ ენერგიის დაზოგვაში; (ზ) „დილერი“ - საცალო მოვაჭრე ან პირი, რომელიც ყიდის, აქირავებს ან იჯარა/ლიზინგით გასცემს ან განათავსებს პროდუქტებს საბოლოო მომხმარებლებისათვის; (თ) „მიმწოდებელი“ - მწარმოებელი ან მის ავტორიზებული წარმომადგენელი ენერგოგაერთიანებაში ან იმპორტიორი, რომელიც განათავსებს ან ექსპლუატაციაში უშვებს პროდუქტს ენერგოგაერთიანების ბაზარზე. აღნიშნულის არარსებობისას, ყველა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებულ პროდუქტს განათავსებს ბაზარზე ან ექსპლუატაციაში უშვებს მას, მიჩნეულ უნდა იქნეს მიმწოდებლად;			სადაც თოთოეული ასო ასახავს კლასს და თითოეული კლასი შეესაბამება ენერგიის დაზოგვის მაჩვენებელს და რომელიც წარმოდგენილია შვიდი ფერით მუქი მწვანიდან წითლამდე, იმისთვის რათა მომხმარებელს ჰქონდეს ინფორმაცია პროდუქტის ენერგოეფექტიანობის და ენერგიის მოხმარების შესახებ. **ვ) პირდაპირი გავლენა** - პროდუქტების გავლენა, რომლებიც რეალურად მოიხმარენ ენერგიას გამოყენების დროს; **ზ) არაპირდაპირი გავლენა** - იმ პროდუქტების გავლენა, რომლებიც არ მოიხმარენ ენერგიას, მაგრამ ხელს უწყობენ გამოყენებისას ენერგიის დაზოგვას; **თ) მიმწოდებელი** - მწარმოებელი, ან მისი ავტორიზებული წარმომადგენელი საქართველოში ან იმპორტიორი, რომელიც განათავსებს ან ექსპლუატაციაში უშვებს პროდუქტს საქართველოს ბაზარზე; მათი არ არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებლად მიიჩნევა ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პროდუქტს ათავსებს საქართველოს ბაზარზე ან უშვებს ექსპლუატაციაში;		

	(ი) „ბაზარზე განთავსება“ - პროდუქტის ხელმისაწვდომობა, პირველ რიგში ენერგოგაერთიანების ბაზარზე, ენერგოგაერთიანებაში მისი დისტრიბუციის ან გამოყენების თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, საჩუქარია თუ უსასყიდლოდაა გადაცემული და დამოუკიდებლად გაყიდვის მეთოდისაგან; (კ) „ექსპლუატაციაში გაშვება“ გულისხმობს ევროკავშირში პროდუქტის დანიშნულებისამებრ პირველად გამოყენებას; (ლ) „ეტიკეტის არაავტორიზებული გამოყენება“ გულისხმობს ეტიკეტის გამოყენებას გარდა ხელშემკვრელი მხარეების უწყებებისა ან ევროპის			**ი) დილერი** - საცალო მოვაჭრე ან სხვა პირი, რომელიც ყიდის (მათ შორის დისტანციურად), აქირავებს, იჯარით/ლიზინგით გასცემს ან განათავსებს პროდუქტს საბოლოო მომხმარებლისთვის. **კ) ავტორიზებული წარმომადგენელი -** ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მწარმოებლისგან მიღებული აქვს მინდობილობა იმოქმედოს მწარმოებლის სახელით, მინდობილობით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში; **ლ) იმპორტიორი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია სხვა ქვეყანაში წარმოებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის. **მ) ბაზარზე განთავსება** – საქართველოს ტერიტორიაზე პროდუქტის ბაზარზე პირველადი მიწოდება წარმოების, იმპორტის, იჯარის, ლიზინგის ან სხვა გზით, კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის; **ნ) ექსპლუატაციაში გაშვება** – საქართველოში პროდუქტის პირველად გამოყენება დანიშნულებისამებრ. **ო) ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი ენერგოეფექტურობის სააგენტო;		

	კავშირის ინსტიტუტებისა, იმ სახით, რაც გათვალისწინებული არ არის ამ დირექტივით ან ნებისმიერი დელეგირებული აქტით.			**პ) ბაზარზე ზედამხედველობა** - ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ განხორციელებული იმ ქმედებებისა და ზომების ერთობლიობა, რომელიც ადგენს პროდუქტის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას. **ჟ) დოკუმენტური შემოწმება** - ენერგომომხმარებელ პროდუქტთან დაკავშირებული დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება; **რ) ტექნიკური შემოწმება** - პროდუქტის ნიმუშების ტექნიკური შემოწმება/გამოცდა მათი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით; **ს) საბოლოო მომხმარებელი** - მომხმარებელი, რომელიც ამ კანონითა და ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ პროდუქტს სარეალიზაციოდ არ იყენებს; **ტ) შემოსავლების სამსახური** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი; **უ) ენერგოეფექტურობის სააგენტო** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი		

				საჯარო სამართლის იურიდიული პირი.		
3	1.წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ: (ა) ყველა მიმწოდებელისა და მოვაჭრის მიერ თავიანთ ტერიტორიაზე მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება; (ბ) ამ დირექტივით გათვალისწინებულ პროდუქტებთან დაკავშირებით სხვა ეტიკეტების დიზაინის, სიმბოლოების ან წარწერების აკრძალვა, რომლებიც არ შეესაბამება ამ დირექტივისა და სხვა დელეგირებული აქტების მოთხოვნებს, თუ ასეთი დიზაინი შეცდომაში შეიყვანს ან დააბნევს მომხმარებელს, ენერგიისა ან სხვა მნიშვნელოვანი რესურსების გამოყენებისას, როდესაც ეს შესაძლებელია, საქონლის მოხმარების დროს. (გ) ეტიკეტებისა და „ფიშის“ სისტემის დანერგვა, რომელიც უკავშირდება ენერგიის მოხმარებას ან დაზოგვას, თანმხლები საგანმანათლებლო და საინფორმაციო ხასიათის წამახალისებელი კამპანიებით, რომლებიც ხელს უწყობს ენერგოეფექტიანობას და საბოლოო მომხმარებლების მიერ ენერგიის მეტი პასუხისმგებლობით გამოყენებას. (დ) სათანადო ზომების მიღება, რათა ხელი შეეწყოს შესაბამის ეროვნულ ან რეგიონულ უწყებებს შორის თანამშრომლობას, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ დირექტივის იმპლემენტაციაზე და, ერთმანეთსა და სამდივნოს მიაწოდონ ინფორმაცია ამ დირექტივის გამოყენების გაადვილების მიზნით.	N1	4.5	5.ამ კანონითა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ პროდუქტებზე დაუშვებელია განსხვავებული დიზაინის, სიმბოლოების ან წარწერების მქონე ეტიკეტის განთავსება, რომელიც არ შეესაბამება ამ კანონითა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, და შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს ან დააბნიოს საბოლოო მომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა ან სხვა მნიშვნელოვანი რესურსების გამოყენების თაობაზე.	ნშ	აღნიშნული მუხლიდან საქართველოსთვის შესაბამისი იყო მხოლოდ „ბ“ პუნქტი და ასახულია კანონპროექტში, ხოლო დანარჩენი პუნქტები არასავალდებულოა, გამომდინარეიქედან, რომ ის აწესებს მოთხოვნებს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის. ხოლო საქართველოსთვის, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრი, ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოსათვის სავალდებულო

	ადმინისტრაციული თანამშრომლობისას და ინფორმაციის გაცვლისას უნდა გამოიყენონ ელექტრონული კომუნიკაციის ყველა უპირატესობები, რომელიც იქნება ხარჯ-ეფექტიანი და მხარდაჭერილი იქნება ევროპის კავშირის სათანადო პროგრამების მიერ. ამგვარმა თანამშრომლობამ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს სენსიტიური ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა. სამდივნო მიიღებს სათანადო ზომებს, რათა მოხდეს ამ პუნქტში აღნიშნული თანამშრომლობის წახალისება წევრ ქვეყნებს შორის. 2. როდესაც ხელიშემკვრელი მხარე ადასტურებს, რომ პროდუქტი არ შეესაბამება ამ დირექტივითა და ეტიკეტისა და აღწერილობის შესახებ მისი დელეგირებული აქტებით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის მოთხოვნას, მიმწოდებელს უნდა დაევალოს ამ პროდუქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა წევრი ქვეყნების მიერ დაწესებულ ეფექტიან და პროპორციულ პირობებში. როდესაც არსებობს საკმარისი მტკიცებულება, რომ პროდუქტი შეუსაბამოა, შესაბამისმა წევრმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი აღმკვეთი ზომები და ისეთი ზომებიც, რომელთა მიზანია შესაბამისობის უზრუნველყოფა ზუსტ ვადაში, გამოწვეული ზიანის გათვალისწინებით. როდესაც შეუსაბამობა არ იქნება აღმოფხვრილი, შესაბამისმა ხელიშემკვრელმა მხარეებმა უნდა					არ არის ყველა მუხლის და პუნქტის გადმოტანა. ამასთანავე, აღნიშნული პუნქტები შინაარსობრივად ვერ გაიწერება კანონპროექტში და შესაძლოა ჩაიწეროს აღმსრულებელი ორგანოს დებულებაში.

	მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც ზღუდავს ან კრძალავს საეჭვო პროდუქტის ბაზარზე განთავსებას ან მის გაშვებას ექსპლუატაციაში ან უზრუნველყოფს მისი ბაზრიდან ამოღებას. პროდუქტის ბაზრიდან ამოღების ან მისი ბაზარზე განთავსების აკრძალვის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სამდივნოს და სხვა ხელიშემკვრელ მხარეებს. 3. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ხელიშემკვრელმა მხარეებმა სამდივნოს უნდა წარუდგინონ ანგარიში მათ ტერიტორიაზე აღსრულების საქმიანობებისა და შესაბამისობის დონის ჩათვლით, დეტალების გათვალისწინებით. სამდივნომ უნდა დააზუსტოს ამ ანგარიშების ზოგადი შინაარსის დეტალები სახელმძღვანელო პრინციპების დადგენის გზით. 4. სამდივნომ ინფორმაციისათვის გაერთიანებული ანგარიშები რეგულარულად უნდა მიაწოდოს ევროპარლამენტსა და საბჭოს.					
4.	ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ: (ა) ელექტროენერგიის, ენერგიის სხვა ფორმებისა და, როდესაც შესაძლებელია, სხვა მნიშვნელოვანი რესურსების გამოყენების დროს მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეესაბამებოდეს ამ დირექტივით გათვალისწინებულ დელეგირებულ აქტებს, რასაც ყურადღებას აქცევენ საბოლოო მომხმარებლები პროდუქტებთან დაკავშირებული ფიშესა და ეტიკეტების მეშვეობით, რომლებიც	N1	4.1	1. პროდუქტის მიერ ელექტროენერგიის, ენერგიის სხვა წყაროებისა და, შესაბამის შემთხვევებში, სხვა არსებითი რესურსების მოხმარების შესახებ ინფორმაცია და დამატებითი ინფორმაცია პროდუქტის ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან	სშ	

	შეთავაზებულია გასაყიდად, გასაქირავებლად ან გამოფენილია საბოლოო მომხმარებლებისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ დისტანციური გაყიდვის, მათ შორის ინტერნეტის, საშუალებით;			უსასყიდლოდ მიწოდებისას (მათ შორის დისტანციურად გაყიდვისას) ან გასაყიდად განთავსებისას ფიშესა და ეტიკეტის მეშვეობით უნდა მიეწოდოს საბოლოო მომხმარებლებს;		
	(ბ) ინფორმაცია, რომელიც მოცემულია (ა) პუნქტში, ეხებოდეს ჩაშენებულ ან დამონტაჟებულ პროდუქტებს, მხლოდ მაშინ, როდესაც მოთხოვნილია შესაბამისი დელეგირებული აქტით;	N1	4.2	2. ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული ინფორმაცია ჩასაშენებელი ან დასამონტაჟებული პროდუქტისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;		
	(გ) ამ დირექტივით გათვალისწინებული დელეგირებული აქტით განსაზღვრული ენერგოპროდუქტების სპეციფიკური მოდელის ნებისმიერი რეკლამა, რომელშიც მოცემულია ენერგიასთან ან ფასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მოიცავდეს მითითებას ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ;	N1	4.3	3. პროდუქტის სპეციფიური მოდელის ნებისმიერი სახის რეკლამა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროდუქტის ფასის ან ენერგომოხმარების შესახებ, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ამ მოდელის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებაც;		
	(დ) ნებისმიერი ტექნიკური ხასიათის სარეკლამო მასალები, რომელიც უკავშირდება ენერგომოხმარების პროდუქტებს, ასახავდეს პროდუქტის ტექნიკურ მახასიათებლებს, კერძოდ ტექნიკური სახელმძღვანელოები და მწარმოებლების ბროშურები, მიუხედავად იმისა დაბეჭდილია თუ ელექტრონულია, გადაეცემათ საბოლოო მომხმარებლებს ენერგიის	N1	4.4	4. პროდუქტთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური ხასიათის მასალა, რომელიც განკუთვნილია პროდუქტის რეალიზაციის ხელშეწყობისათვის და აღწერს პროდუქტის სპეციფიურ ტექნიკურ პარამეტრებს, კერძოდ, ტექნიკური სახელმძღვანელოები და მწარმოებლების ბროშურები, მიუხედავად მათი ბეჭდური თუ		

	მოხმარებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად ან მასალები უნდა მოიცავდეს პროდუქტის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ მითითებას.			ელექტრონული ფორმისა, უნდა მიეწოდოთ საბოლოო მომხმარებლებს და მათში ასახული უნდა იყოს თუ რა მოცულობის ენერგიას მოიხმარს პროდუქტი ან ენერგოეფექტურობის კლასი.		
5	წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ: (ა) მიმწოდებლებმა, რომლებიც დელეგირებული აქტით გათვალისწინებულ პროდუქტებს განათავსებენ ბაზარზე ან უშვებენ ექსპლუატაციაში, გამოიყენონ ეტიკეტი და ფიშე ამ დირექტივისა და დელეგირებული აქტის შესაბამისად; (ბ) მიმწოდებლებმა შეიმუშაონ ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც საკმარისია ეტიკეტსა და ფიშეზე მოცემული ინფორმაციის სიზუსტის შესაფასებლად. ტექნიკურმა დოკუმენტაციამ უნდა მოიცვას: (i) პროდუქტის ზოგადი აღწერილობა; (ii) როდესაც შესაძლებელია, ჩატარებული დიზაინის კალკულაციის შედეგები. (iii) ტესტის ანგარიშები, როდესაც ხელმისაწვდომია, აკრედიტებული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ანგარიშების ჩათვლით, როგორც ეს განმარტებულია ევროკავშირის კანონმდებლობაში; (iv) შესაბამის მითითებებს მოდელების იდენტიფიცირების უზრუნველსაყოფად, როდესაც	N1 N1	5.1 5.2	1.მიმწოდებელი, რომელიც ბაზარზე განათავსებს ან ექსპლუატაციაში გაუშვებს პროდუქტს, ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქტთან ერთად ეტიკეტისა და ფიშეს მიწოდება, რომელთა ფორმა და შინაარსი დამტკიცებულია შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით; 2.მიმწოდებელი ვალდებულია აწარმოოს ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც საკმარისია ფიშესა და ეტიკეტზე ასახული ინფორმაციის სიზუსტის შესაფასებლად. ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს: **ა)** პროდუქტის ზოგად აღწერილობას; **ბ)**შესაბამის შემთხვევაში პროექტირებისას განხორციელებული გაანგარიშებების შედეგებს; **გ)**ტესტირების ანგარიშებს, მათ შორის, სადაც შესაძლებელია შესაბამისი აკრედიტებული ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ანგარიშებს; **დ)**როდესაც პროდუქტის მახასიათებლები გამოყენებულია	სშ	

	მაჩვენებლები გამოყენებულია მსგავსი მოდელებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად მიმწოდებლებმა უნდა გამოიყენონ დოკუმენტაცია, რომელიც წინასწარ დადგენილია ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;			მსგავსი მოდელებისათვის, შესაბამის მითითებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ამ მოდელების იდენტიფიცირებას.		
	გ) მიმწოდებლები ტექნიკურ დოკუმენტაციის შემოწმების მიზნებისთვის ხელმისაწვდომს ხდიან შესაბამისი პროდუქტის უკანასკნელად წარმოებიდან 5 წლის განმავლობაში. მიმწოდებლები, მოთხოვნის საფუძველზე, ხელმისაწვდომს ხდიან ტექნიკური დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსია წევრი ქვეყნების ბაზარზე ზედამხედველობის უწყებებისთვის და სამდივნოსთვის 10 სამუშაო დღის ვადაში, წევრი ქვეყნის ან სამდივნოს კომპეტენტური უწყებიდან მოთხოვნის მიღების მომენტიდან.	N1	5.3	3.მიმწოდებელი ვალდებულია ზედამხედველობის მიზნებისათვის უზრუნველყოს ტექნიკური დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა ბოლო პროდუქტის წარმოების დღიდან ხუთი წლის განმავლობაში. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ენერგოეფექტურობის სააგენტოსთვის ტექნიკური დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიის მიწოდებას, აღნიშნული სააგენტოს მხრიდან წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;		
	(დ) ეტიკეტირებისა და პროდუქტის ინფორმაციის გათვალისწინებით, მიმწოდებლები მოვაჭრეებს საჭირო ეტიკეტებს უსასყიდლოდ გადასცემენ. მიმწოდებლების მიერ ეტიკეტების მიტანის სისტემის არჩევანზე ზიანის მიუყენებლად, მიმწოდებლები დაუყოვნებლივ აწვდიან მოვაჭრეებს ეტიკეტებს მოთხოვნის საფუძველზე;	N1	5.4	4.მიმწოდებელი ვალდებულია დილერებს უფასოდ მიაწოდოს პროდუქტთან დაკავშირებული ამ კანონითა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული ეტიკეტები და ინფორმაცია პროდუქტის შესახებ. მიმწოდებელმა დილერებს ეტიკეტები უნდა მიაწოდოს მოთხოვნისთანავე.		

				მიმწოდებელი თავად განსაზღვრავს მიწოდების გზას;		
	(ე) ეტიკეტების გარდა, მიმწოდებლები წარადგენენ პროდუქტის ფიშეს;	N1	5.5	5.მიმწოდებელი ვალდებულია ეტიკეტებთან ერთად უზრუნველყონ პროდუქტის ფიშეს მიწოდება დილერებისთვის;		
	(ვ) მიმწოდებლები პროდუქტის ფიშეს ასახავენ პროდუქტის შესახებ ყველა ბროშურაში. როდესაც პროდუქტის შესახებ ბროშურები მიმწოდებლების მიერ წარდგენილი არ იქნება, მიმწოდებელი წარადგენს აღწერილობას პროდუქტის შესახებ სხვა ლიტერატურასთან ერთად.	N1	5.6	6.მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ პროდუქტის შესახებ არსებული ყველა ბროშურა მოიცავდეს პროდუქტის ფიშესაც, ხოლო ბროშურების არარსებობის შემთხვევაში მიმწოდებელი უზრუნველყოფს პროდუქტის ფიშეს ასახვას პროდუქტთან დაკავშირებულ სხვა მასალაში;		
	(ზ) მიმწოდებლები პასუხისმგებელნი არიან წარდგენილი ეტიკეტებისა და ფიშეს სიზუსტეზე.	N1	5.7	7.მიმწოდებელი პასუხისმგებლებია მის მიერ მიწოდებული ფიშესა და ეტიკეტზე დატანილი ინფორმაციის სიზუსტეზე; ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ეტიკეტსა და ფიშეზე დატანილი ინფორმაცია ითვლება ამ კანონისა და ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, თუკი არ არსებობს საწინაღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება.		
	(თ) ითვლება, რომ მიმწოდებლები აცხადებენ თანხმობას ეტიკეტსა და ფიშეზე დატანილი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე.	N1	5.8	8.ეტიკეტზე ან ფიშეზე დატანილი ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად		

				მიმწოდებლის თანხმობა საჭირო არ არის;		
6	ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ: (ა) დილერებმა სათანადოდ განათავსონ ეტიკეტები ხილვადი და მკაფიო სახით და პროდუქტის ბროშურის ან სხვა ლიტერატურის მეშვეობით ხელმისაწვდომი გახადონ ფიშე, რომელიც თან ერთვის პროდუქტებს მათი საბოლოო მომხმარებლებისთვის მიყიდვისას; (ბ) დილერებმა მიაკრან სათანადო ეტიკეტი ნათლად ხილულ ადგილას, რაც გათვალისწინებულია დელეგირებული აქტით, და ეტიკეტი უნდა იყოს სათანადო ენაზე, როდესაც დელეგირებული აქტით გათვალისწინებული პროდუქტი გამოფენილია.	N1 N1	6.1 6.2	1.საბოლოო მომხმარებელზე პროდუქტის ნებისმიერი ფორმით მიწოდებისას, დილერი ვალდებულია თვალსაჩინოდ განათავსოს ეტიკეტი და უზრუნველყოს, რომ პროდუქტის თანმხლები დოკუმენტაცია ან ბროშურა მოიცავდეს პროდუქტის ფიშესაც; 2.როდესაც დილერი ახდენს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული პროდუქტის გასაყიდად განთავსებას, ის ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქტზე განთავსებული ეტიკეტის თვალსაჩინოება;	ნშ	საქართველოს შემთხვევაში თუ რა ენაზე უნდა იყოს მომზადებული პროდუქტის ეტიკეტი და ფიშე და მისი პარამეტრები, განისაზღვრება შესაბამისი პროდუქტის შესახებ მომზადებულ ტექნიკურ რეგლამენტში.
7	როდესაც პროდუქტები შეთავაზებულია გასაყიდად, გასაქირავებლად ან იჯარა/ლიზინგით გასაცემად და შესაძენად ელ. ფოსტის, კატალოგის, ინტერნეტის, ტელე მარკეტინგის ან სხვა საშუალებების მეშვეობით, რომლებიც გულისხმობს, რომ პოტენციური საბოლოო მომხმარებელი ვერ ხედავს გამოფენილ პროდუქტს, დელეგირებულმა აქტებმა უნდა გაითვალისწინონ დებულება, რათა საბოლოო მომხმარებლებს მიეწოდოთ პროდუქტის ეტიკეტზე და ფიშეში პროდუქტის ყიდვამდე აღწერილობაში მითითებული ინფორმაცია. დელეგირებულმა	N1	4.1	1.პროდუქტის მიერ ელექტროენერგიის, ენერგიის სხვა წყაროებისა და, შესაბამის შემთხვევებში, სხვა არსებითი რესურსების მოხმარების შესახებ ინფორმაცია და დამატებითი ინფორმაცია პროდუქტის ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიწოდებისას (მათ შორის დისტანციურად გაყიდვისას) ან გასაყიდად განთავსებისას ფიშესა და	სშ	

	აქტებმა, როდესაც შესაძლებელია, უნდა დააზუსტოს, თუ რა სახით უნდა იქნეს გამოსახული ან პოტენციური მყიდველებისათვის მიწოდებული ეტიკეტი ან ფიშე ან ეტიკეტსა და ფიშეზე დატანილი ინფორმაცია.			ეტიკეტის მეშვეობით უნდა მიეწოდოს საბოლოო მომხმარებლებს;		
8	1. ხელიშემკვრელმა მხარეებმა თავიანთ ტერიტორიაზე არ უნდა აკრძალონ ან ხელი შეუშალონ პროდუქტების განთავსებას ბაზარზე ან ექსპლუატაციაში ჩაშვებას, რომლებიც გათვალისწინებულია და შეესაბამება ამ დირექტივას და შესაბამის დელეგირებულ აქტს; 2. ხელშემკვრელმა მხარეებმა ეტიკეტები და ფიშეები უნდა მიიჩნიონ როგორც ამ დირექტივისა და დელეგირებული აქტების დებულებების შესაბამისი, თუ არ არსებობს საწინააღმდეგოს ნათელი დადასტურება. ხელიშემკვრელმა მხარეებმა უნდა მოსთხოვონ მიმწოდებლებს მათ ეტიკეტებზე ან ფიშეზე წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტის დაცვა, რაც განსაზღვრულია მე-5 მუხლით,	N1 N1	7.1 5.7	1.დაუშვებელია ამ კანონისა და ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტის საქართველოში ბაზარზე განთავსებისა თუ ექსპლუატაციაში გაშვების აკრძალვა, შეზღუდვა ან რაიმე სახით ხელშეშლა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ პროდუქტი საფრთხის შემცველია სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის, საკუთრებისთვის, გარემოსთვის ან/და თუ პროდუქტი ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს; 7.მიმწოდებელი პასუხისმგებლებია მის მიერ მიწოდებული ფიშესა და ეტიკეტზე დატანილი ინფორმაციის სიზუსტეზე; ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ეტიკეტსა და ფიშეზე დატანილი ინფორმაცია ითვლება ამ კანონისა და ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, თუკი არ	სშ	

	როდესაც მათ აქვთ ეჭვის საფუძველი, რომ ეს ინფორმაცია სწორია.	N1	7.2	არსებობს საწინაღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება. 2.მიმწოდებლები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ეტიკეტზე და ფიშეზე დატანილი ინფორმაციის სიზუსტის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ამ კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად;		
9	1. როდესაც პროდუქტი რეგულირდება დელეგირებული აქტით, ხელშემკვრელი უწყებები, როდესაც ისინი ასრულებენ საჯარო სამუშაოებს, მიწოდებას ან მომსახურებას, როგორც მითითებულია საჯარო სამუშაოების, საჯარო მიწოდებისა და საჯარო მომსახურების კონტრაქტების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურების კოორდინაციის შესახებ 2004 წლის 31 მარტის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004/18/EC დირექტივაში, რომლებზეც ვრცელდება მე12 – მე–18 მუხლების მოქმედება, უნდა შეეცადონ, აწარმოონ მხოლოდ ისეთი პროდუქტი, რომლებიც აკმაყოფილებს ექსპლუატაციის ყველაზე მაღალი დონის კრიტერიუმებს და მიეკუთვნება ენერგოეფექტიანობის ყველაზე მაღალ კლასს. ხელიშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ მოსთხოვონ ხელშემკვრელ უწყებებს მხოლოდ ისეთი პროდუქტების შეძენა, რომლებიც აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს. ხელიშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ გააკეთონ განაცხადი, რომელიც ეფუძნება, ხარჯ–ეფექტიანობის,	N1			შ	სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები გაიწერება”ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული კანონი წარმოადგენს ენერგოეფექტურობასთან დაკავშრებული საკითხების ძირითად მარეგულირებელ ნორმატიულ აქტს.

	ეკონომიკურ მიზანშეწონილობის და ტექნიკური შესაბამისობის კრიტერიუმებს და არის საკმაოდ კონკურენტუნარიანი; 2. პირველი პუნქტი გავრცელდება კონტრაქტებზე, რომელთა ღირებულება ტოლი ან მეტია, ვიდრე 2004/18/EC დირექტივის მე–7 მუხლში მოცემული ზღვრები; 3. როდესაც ხელშემკვრელი მხარეები დელეგირებული აქტით გათვალისწინებულ პროდუქტზე წამახალისებელ ზომებს აწესებენ, მათი მიზანი უნდა იყოს ექსპლუატაციის მაღალი დონის შექმნა ყველაზე მაღალი კლასის ენერგოეფექტიანობის ჩათვლით, რაც მოცემულია შესაბამის დელეგირებულ აქტში. დაბეგვრა და ფისკალური ზომები ამ დირექტივის მიზნებისთვის წახალისების ზომებს არ წარმოადგენს; 4. როდესაც ხელიშემკვრელი მხარეები იყენებენ პროდუქტებისათვის წამახალისებელ ზომებს, როგორც საბოლოო მომხმარებლებისთვის, ისე მრეწველობისთვის, რომლებიც აწარმოებენ და პოპულარიზაციას უწევენ პროდუქტს, მათ უნდა განსაზღვრონ მახასიათებლები კლასების მიხედვით, როგორც ეს განმარტებულია შესაბამის დელეგირებულ აქტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აწესებენ ექსპლუატაციის უფრო მაღალ დონეს, ვიდრე ყველაზე მაღალი ენერგოეფექტიანობის კლასების ზღვრებია მითითებული დელეგირებულ აქტში. ხელიშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ დააწესონ					

	ექსპლუატაციის უფრო მაღალი დონეები, ვიდრე ყველაზე მაღალი ენერგოეფექტიანობის კლასების ზღვარია მითითებული დელეგირებულ აქტში.					
10.	1. კომისიამ უნდა განსაზღვროს დეტალები, რომლებიც ეხება ეტიკეტსა და ფიშეს დელეგირებული აქტების მეშვეობით, მე–11–მე–13 მუხლების შესაბამისად, რომლებიც ეხება ყველა ტიპის პროდუქტს ამ მუხლის თანახმად. როდესაც პროდუქტი აკმაყოფილებს მე–2 პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმს, მასზე უნდა გავრცელდეს დელეგირებული აქტის მოქმედება მე–4 პუნქტის შესაბამისად. დელეგირებულ აქტში მოცემული დებულებები, რომლებიც ეხება ენერგიისა და სხვა მნიშვნელოვანი რესურსების გამოყენების დროს მოხმარების შესახებ ეტიკეტსა და ფიშეზე მოცემულ ინფორმაციას, ხელს შეუწყობს საბოლოო მომხმარებლებს, მიიღონ უკეთ ინფორმირებული გადაწყვეტილებები ყიდვისას და ამავდროულად საშუალებას მისცემს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს, გადაამოწმონ, შეესაბამება თუ არა პროდუქტები მოცემულ ინფორმაციას. როდესაც დელეგირებული აქტი ითვალისწინებს დებულებებს პროდუქტის ენერგოეფექტიანობისა და მნიშვნელოვანი წყაროების მოხმარების შესახებ, ეტიკეტის დიზაინმა და შინაარსმა აქცენტი უნდა გააკეთოს პროდუქტის ენერგოეფექტიანობაზე. 2. პირველ პუნქტში მოცემული კრიტერიუმები შემდეგია:	N1			სშ	დირექტივის აღნიშნული მუხლის თანახმად დეტალები დარეგულირდება დელეგირებული აქტებით. გამომდინარე აქედან, კონკრეტული პარამეტრები და მახასიათებლები, თუ როგორ უნდა იყოს დატანილი ინფორმაცია პროდუქტზე ფიშესა და ეტიკეტის მეშვეობით, გაწერილი იქნება პროდუქტებისათვის შემუშავებულ ტექნიკურ რეგლამენტებში.

	(ა)ხელმისაწვდომი უახლესი მონაცემების შესაბამისად და ევროკავშირის ბაზარზე განთავსებული რაოდენობის გათვალისწინებით, პროდუქტებს უნდა ჰქონდეთ ენერგიის მნიშვნელოვანი დაზოგვისა და სხვა რესურსების დაზოგვის პოტენციალი, როდესაც შესაძლებელია; (ბ) ბაზარზე ხელმისაწვდომ ეკვივალენტური ფუნქციონირების მქონე პროდუქტებს გააჩნიათ დიდი შეუსაბამობა სათანადო ექსპლუატაციის დონეების მიხედვით; (გ) კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობა და თვით რეგულაციები, როგორიცაა ნებაყოფლობითი შეთანხმებები, რომელთაც მიიჩნევენ, რომ მიაღწევენ პოლიტიკის მიზნებს გაცილებით სწრაფად ან უმცირესი ხარჯებით, ვიდრე სავალდებულო მოთხოვნების შემთხვევაში; 3. დელეგირებული აქტის პროექტის მომზადებისას, კომისიამ უნდა: (ა) გაითვალისწინოს ის პარამეტრები, რომლებიც ჩამოთვლილია 2009/125/EC დირექტივის I დანართის პირველ ნაწილში, რომლებიც მიჩნეულია მნიშვნელოვნად 2009/125/EC დირექტივის შესაბამისად მიღებული განმახორციელებელი სათანადო ქმედებით და რომელიც მართებულია საბოლოო მომხმარებლებისათვის გამოყენების დროს; (ბ) შეამოწმოს აქტის გარემოზე, საბოლოო მომხმარებლებსა და მწარმოებლებზე ზემოქმედება, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ჩათვლით,					

	კონკურენტუნარიანობის გათვალისწინებით, მათ შორის კავშირის გარეთ არსებულ ბაზრებზე, ინოვაციის, ბაზარზე წვდომისა და ხარჯებისა და სარგებლის ჩათვლით; (გ) გაიაროს შესაბამისი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან; (დ) დაადგინოს განხორციელების თარიღი (თარიღები), მუდმივი ან გარდამავალი ზომები ან პერიოდები, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით თუ რა შესაძლო გავლენა ექნება ამას მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე ან სპეციფიკური პროდუქტების ჯგუფებზე, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მიერ არის წარმოებული; 4. დელეგირებულმა აქტებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი: (ა) მისაღები პროდუქტების ტიპების ზუსტი გამარტება; (ბ) პირველი მუხლის (1) პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მისაღებად გამოსაყენებელი გაზომვის სტანდარტები და მეთოდები; (გ) მე–5 მუხლით მოთხოვნილი ტექნიკური დოკუმენტაცია; (დ) მე–4 მუხლში მოცემული ეტიკეტის დიზაინი და შინაარსი, რომელსაც, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა ჰქონდეს ერთიანი დიზაინი პროდუქტების ჯგუფებისათვის და ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს ნათლად შესამჩნევი და მკაფიო. ეტიკეტის ფორმატმა საფუძვლად უნდა შეინარჩუნოს					

	კლასიფიკაცია, რომელიც A–დან G–მდე ასოებს იყენებს; კლასიფიკაციის საფეხურები უნდა შეესაბამებოდეს ენერგიის და ხარჯების მნიშვნელოვან დაზოგვას საბოლოო მომხმარებლების პერსპექტივიდან. თუ ტექნოლოგიური პროგრესი მოითხოვს, კლასიფიკაციას უნდა დაემატოს კიდევ სამი კლასი. ეს კლასები იქნება A+, A++, და A+++ ყველაზე ეფექტიანი კლასისათვის. პრინციპში კლასების საერთო რაოდენობა უნდა შეიზღუდოს შვიდამდე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეტი კლასები არ ემატება. ფერთა გამა უნდა შედგებოდეს არაუმეტეს შვიდი სხვადასხვა ფერით - მუქი მწვანედან წითლამდე. ყველაზე მაღალი კლასის ფერის კოდი ყოველთვის უნდა იყოს მუქი მწვანე. თუ არსებობს შვიდზე მეტი კლასი, მხოლოდ წითელი ფერის დუბლირება უნდა მოხდეს. კლასიფიკაცია უნდა გადაიხედოს განსაკუთრებულად, როდესაც შიდა ბაზარზე პროდუქტების მნიშვნელოვანი რაოდენობა აღწევს ენერგოეფექტიანობის ორ უმაღლეს კლასს და როდესაც დამატებითი დაზოგვა მიიღწევა პროდუქტების შემდგომი დიფერენციაციით. დეტალური კრიტერიუმები პროდუქტების კლასიფიკაციის შესაცვლელად, როდესაც ეს შესაძლებელია, უნდა განისაზღვროს დელეგირებულ აქტში ყოველ კონკრეტულ მაგალითზე; (ე) ადგილმდებარეობა, სადაც პროდუქტზე უნდა განთავსდეს ეტიკეტი და თუ რა სახით უნდა იქნეს მიწოდებული ეტიკეტი და/ან ინფორმაცია,					

	პროდუქტის გასაყიდად შეთავაზების შემთხვევაში, გათვალისწინებულია მე–7 მუხლით. როდესაც შესაძლებელია, დელეგირებულმა აქტებმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ეტიკეტი მიმაგრდეს პროდუქტზე ან დაიბეჭდოს პროდუქტის შეფუთვაზე, ან მოიცვას ეტიკეტირების მოთხოვნები კატალოგების ბეჭდვისას, დისტანციური გაყიდვისას და ინტერნეტ გაყიდვებისას; (ვ) აღწერილობის შინაარსი და, როდესაც შესაძლებელია, ფორმატი და სხვა დეტალები, რომელიც ეხება ფიშეს ან დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მე–4 მუხლში და მე–5 მუხლის (გ) პუნქტში. ეტიკეტზე მოცემული ინფორმაცია ასევე უნდა აისახოს ფიშეზე; (ზ) რეკლამისთვის განკუთვნილი ეტიკეტის სპეციფიკური შინაარსი, თუ შესაძლებელია, პროდუქტის ენერგიის კლასისა და სხვა შესაბამისი ექსპლუატაციის დონეების ჩათვლით, მკაფიო და შესამჩნევი სახით; (თ) ეტიკეტის კლასიფიკაციის (კლასიფიკაციების) ხანგრძლივობა, (დ) პუნქტთან შესაბამისობაში, როდესაც შესაძლებელია; (ი) ეტიკეტებსა და ფიშეებზე მოცემული განცხადებების სიზუსტის დონე; (კ) დელეგირებული აქტის შეფასებისა და სავარაუდო გადახედვის თარიღი, ტექნოლოგიური პროგრესის სისწრაფის გათვალისწინებით.					
11	1. მე-10 მუხლით გათვალისწინებული დელეგირებული აქტების მიღების	N1			ას	ეხება კომისიისა და წევრი ქვეყნების

	უფლებამოსილება უნდა გადაეცეს კომისიას 5 წლის ვადით, რომლის ათვლაც დაიწყება 2010 წლის 19 ივნისს. კომისიამ უნდა შეიმუშავოს ანგარიში დელეგირებული უფლებამოსილებების შესახებ არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში 5 წლიანი პერიოდის გასვლამდე. უფლებამოსილებების დელეგირება ავტომატურად უნდა გაიზარდოს იდენტური ხანგრძლივობის მქონე პერიოდებით, თუ ევროპის პარლამენტი და საბჭო არ გააუქმებს მას მე-12 მუხლის შესაბამისად; 2. როგორც კი ის მიიღებს დელეგირებულ აქტს, კომისიამ იმავდროულად უნდა აცნობოს მინისტრთა საბჭოს, რომელიც აღნიშნულ საკითხს თავისი მომდევნო შეხვედრის დღის წესრიგით გაითვალისწინებს; 3. დელეგირებული აქტების მიღების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს კომისიას, რაც ექვემდებარება მე-12 და მე-13 მუხლებში მოცემულ პირობებს.					პროცედურულ საკითხებს
12	1. მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების დელეგირება შეიძლება გაუქმდეს ევროპის პარლამენტის ან საბჭოს მიერ; 2. უწყება, რომელმაც დაიწყო შიდა პროცედურა დელეგირებული უფლებამოსილების გასაუქმებლად, უნდა შეეცადოს, რომ სხვა უწყებას ან ევროკომისიას გონივრულ ვადაში შეატყობინოს	N1			ას	ეხება კომისიისა და წევრი ქვეყნების პროცედურულ საკითხებს

	საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესახებ, იმ დელეგირებული უფლებამოსილებების მითითებით, რომლებიც შეიძლება დაექვემდებაროს გაუქმებას და მითითებულ უნდა იქნეს გაუქმების სავარაუდო მიზეზებიც; 3. გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებამ უნდა დაასრულოს ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების დელეგირება. აღნიშნული ამოქმედდება დაუყოვნებლივ ან მოგვიანებით, როგორც ეს იქნება გათვალისწინებული. ეს არ იმოქმედებს უკვე ძალაში მყოფი დელეგირებული აქტების ვალიდურობაზე. ის უნდა გამოქვეყნდეს ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში.					
13	მინისტრთა საბჭოს შეუძლია გააპროტესტოს დელეგირებული აქტი ენერგოგაერთიანების ხელშემკვრელი მხარეების შეხვედრაზე შესაბამისი შეტყობინებით. თუ ამ შეხვედრაზე, მინისტერიალის საბჭომ არ გააპროტესტა დელეგირებული აქტი, იგი სავალდებულო გახდება ხელიშემკვრელი მხარეებისათვის, სავარაუდო ადაპტირებით. თუ მინისტერიალის საბჭო აპროტესტებს დელეგირებულ აქტს, ის არ უნდა იქნეს გამოყენებული ენერგო გაერთიანებაში. მინისტერიალის საბჭო ვალდებულია განაცხადოს დელეგირებული აქტის გასაჩივრების მიზეზებს.	N1			ას	ეხება კომისიისა და წევრი ქვეყნების პროცედურულ საკითხებს

14	არაუგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრისა, კომისიამ უნდა განიხილოს დირექტივისა და მისი დელეგირებული აქტების ეფექტიანობა და ევროპის პარლამენტსა და საბჭოს წარუდგინოს ანგარიში. ამ შემთხვევაში კომისიამ აგრეთვე უნდა შეაფასოს: (ა) მე-4 მუხლის (გ) პუნქტის წვლილი ამ დირექტივის მიზნის მიღწევაში; (ბ) მე-9 მუხლის (1) პუნქტის ეფექტიანობა; (გ) მე-10 მუხლის (4) პუნქტის (დ) ქვეპუნქტის ცვლილების საჭიროება ტექნიკური პროგრესის და მომხმარებლების მიერ ეტიკეტის დიზაინის აღქმის გათვალისწინებით.	N1			ას	ეხება კომისიისა და წევრი ქვეყნების პროცედურულ საკითხებს
15	ხელიშემკვრელმა მხარეებმა უნდა დაადგინონ ამ დირექტივასთან და მის დელეგირებულ აქტებთან შესაბამისობაში მიღებული ეროვნული დებულებების დარღვევებთან დაკავშირებით გამოსაყენებელი ჯარიმების წესები, ეტიკეტის არაუფლებამოსილი გამოყენების ჩათვლით და უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა მათი იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად. გათვალისწინებული ჯარიმები უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და გადაწყვეტილებაზე გავლენის მომხდენი. ევროკავშირის ქვეყნებმა ეს დებულებები ყველაზე გვიან 2011 წლის 31 დეკემბრისათვის უნდა შეატყობინონ სამდივნოს და დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია ნებისმიერი	N1 N1 N1	9.1 9.2 9.3	1.მიმწოდებლის/დილერის მიერ ენერგოეფექტურობის სააგენტოსთვის ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ზედამხედველობის პროცესის ხელის შეშლა - გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით; 2.მიმწოდებლის/დილერის მიერ პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების შესახებ ენერგოეფექტურობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა - გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით; 3.ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმები დამრღვევმა უნდა	სშ	დირექტივის მე-15 მუხლი ითვალისიწნებს პასუხისმგებლობის (ჯარიმების) განსაზღვრას თავად სახელმწიფოს მიერ. გამომდინარე აქედან, მუხლი, რომელიც არეგულირებს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ

	ცვლილების შესახებ, რომელიც მათზე გავლენას იქონიებს.			გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი დამრღვევმა ენერგოეფექტურობის სააგენტოს უნდა წარუდგინოს გადახდიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა ასევე შესაძლებელია ელექტრონული ფორმით.		საკითხებს, დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
		N1	9.4	4.მიმწოდებელს/დილერს დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ, დაეკისრება საურავი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმის დადგენილი თანხის 0.01% ოდენობით;		
		N1	9.5	5.ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმებისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ დადგენილება დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.		

16	1. ხელშემკვრელმა მხარეებმა არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრისა უნდა მიიღონ კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც აუცილებელია, ამ დირექტივასთან შესაბამისობისათვის. მათ ამ დებულებების ტექსტი უნდა აცნობონ სამდივნოს. ისინი აღნიშნულ დებულებებს გამოიყენებენ 2011 წლის 31 დეკემბრიდან. როდესაც ხელიშემკვრელი მხარეები მიიღებენ დებულებებს, აღნიშნული დებულებები უნდა ითვალისწინებდეს ამ დირექტივაზე მითითებას ან თან დაერთოს ასეთი მითითება, მათი ოფიციალურად გამოქვეყნების შემთხვევაში. დებულება, ასევე შესაძლოა მოიცავდეს განცხადებას, რომ მოქმედ კანონებში, რეგულაციებსა და ადმინისტრაციულ დებულებებში მოცემული მითითებები 92/75/EEC დირექტივაზე ინტერპრეტირებულ უნდა იქნეს, როგორც მითითებები წინამდებარე დირექტივაზე. ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა განსაზღვრონ, როგორ უნდა გაკეთდეს ასეთი მითითება და როგორ უნდა იქნეს ფორმულირებული განცხადება;	N1	10.1	1.საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 31 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული შემდეგი ტექნიკური რეგლამენტების პროექტების დამტკიცება: ა)საყოფაცხოვრებო მოხმარების ჭურჭლის სარეცხი მანქანების ენერგო ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით; ბ)საყოფაცხოვრებო მოხმარების სამაცივრე მოწყობილობების ენერგო ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით; გ)საყოფაცხოვრებო მოხმარების სარეცხი მანქანების ენერგო ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით; დ)ტელევიზორების ენერგო ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით; ე)საყოფაცხოვრებო მოხმარების ჰაერის კონდიციონერების ენერგო ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით;	ნშ	კანონპროექტის თანახმად შესამუშავებელი ტექნიკური რეგლამენტების სია და მათი მიღების ვადები გათვალისიწნებულია (ენერგეტიკულ გაერთიანებასთან მოლაპარაკების შედეგებზე დაყრდნობით). ასევე, საქართველოსთვის ენერგეტიკულ გაერთიანებასთან შეერთების ოქმით განსაზღვრული განსხვავებული ვადები
	2. ხელიშემკვრელმა მხარეებმა ეროვნული სამართლის ძირითადი დებულებების ტექსტი, რომელსაც ისინი მიიღებენ იმ სფეროში, რომელზეც ვრცელდება ეს დირექტივა, უნდა აცნობონ სამდივნოს.	N1	10.2	2.საქართველოს მთავრობამ 2021 წლის 30 აპრილამდე უნდა უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული შემდეგი ტექნიკური რეგლამენტების პროექტების დამტკიცება:		

				ა)საყოფაცხოვრებო მოხმარების სამზარეულო ღუმელებისა და გამწოვების ენერგო ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით; ბ) მტვერსასრუტების ენერგო ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით; გ) წყლის გამათბობლების, ცხელი წყლის ავზების და წყლის გამაცხელებლისა და მზის პანელების კომპლექტების ენერგო ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით; დ) გამათბობლების, გამათბობლების კომპლექტების, ტემპერატურის კონტროლის მზის პანელებისა და გამათბობლის კომბინირებული კომპლექტების, ტემპერატურის კონტროლისა და მზის პანელების ენერგო ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით; ე) ელექტრო ნათურებისა და სანათების ენერგო ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით; ვ) საყოფაცხოვრებო მოხმარების საშრობი მანქანების ენერგო ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით; ზ) საყოფაცხოვრებო მოხმარების კომბინირებული სარეცხი-საშრობი მანქანების ენერგო ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით.		
17	დირექტივა 92/75/EEC, შეცვლილია I დანართის ა ნაწილში მითითებული რეგულაციით, 2011 წლის 21 ივლისიდან გაუმქებულია, წევრი სახელმწიფოების	N1			ას	ეხება კომისიისა და წევრი ქვეყნების

	ვალდებულებების დარღვევის გარეშე, რომელიც ეხება ამ IV დანართის ბ ნაწილით გათვალისწინებული დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვადასა და გამოყენებას. 92/75/EEC დირექტივაზე მითითებები ინტერპრეტირებულ უნდა იქნეს, როგორც მითითებები წინამდებარე დირექტივაზე და წაკითხულ უნდა იქნეს II დანართში მოცემულ კორელაციის ცხრილთან ერთად.					პროცედურულ საკითხებს
18 და 19	გადაწყვეტილება [2010/02/MC-EnC] ძალაში შედის მისი ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების მეორე დღიდან. მე-5 მუხლის (დ), (ზ) და (თ) პუნქტები ამოქმედდება 2011 წლის 31 დეკემბრიდან. სამდივნო მონიტორინგს გაუწევს და მიმოიხილავს ამ დირექტივის განხორციელებას <...> ხელშემკვრელ მხარეებში და წარუდგენეს პროგრეს ანგარიშს მუდმივმოქმედ მაღალი დონის ჯგუფის 2012 წლის 30 ივნისის ჩათვლით	N1 N1	11. 1 11.2	1.ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი - მე-9 მუხლებისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე; 2.ამ კანონის პირველი - მე-9 მუხლები ამოქმედდეს 2020 წლის 31 დეკემბრიდან.	სშ	საქართველოსთვის ენერგეტიკულ გაერთიანებასთან შეერთების ოქმით განსაზღვრული განსხვავებული ვადები